წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი № 11

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 26 ივნისი

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია**

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია,ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ნონა მიქავა, ნონა გუჩუა, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები .

**სხდომა დაიწყო:** 12:00 სთ.
**სხდომა დასრულდა:** 12: 45 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრი გიორგი აბულაძე გამოეხმაურა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და გააკეთა განცხადება: „თანადგომას ვუცხადებთ თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს და პროტესტის ნიშნად ვტოვებთ საკრებულოს სხდომას, არ დავესწრებით მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილდება მომიტინგეთა მოთხოვნები.“ რის შემდეგაც პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომათა დარბაზი საკრებულოს წევრებმა : გიორგი აბულაძემ ( „ევროპული საქართველო“ ) და ნონა გუჩუამ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა)

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა

შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 26 ).

**დღის წესრიგი:**

**1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

6. „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 აპრილის N16 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

7.სხვადასხვა

**მოისმინეს : 1 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 13).

**მოისმინეს: 2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,

სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 27).

**მოისმინეს 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა აზრთა სხვადასხვაობა , უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხაზობრივი ნაგებობის მოსაკრებელი თითოეული გრძივი მეტრისთვის ნაცვლად 0.85 ლარისა განისაზღვროს 1 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ დაინტერესებული ოგანიზაციისთვის ეს არ წარმოადგენს კოლოსალურ თანხას , ხოლო ჩვენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს წაადგება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა შენიშვნის გათვალისწინებით (0.85 ნაცვლად 1 ლარი) დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 14).

**მოისმინეს 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 28).

**მოისმინეს 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა , რომ მუნიციპალიტეტის მერიამ პირველ რიგში უნდა იზრუნოს საკუთარი სამსახურების ფართით უზრუნველყოფაზე. მან აქცენტი გააკეთა ჯვარის ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურზე" რომელსაც არ გააჩნია სამუშაო პირობებთან შესაბამისი ფართი .

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას მიზანშეუწონლად მიაჩნია უსასყიდლოდ ქონების გადაცემა. მომზადდეს სათანადო დოკუმენტაცია , შეფასდეს საქირავნო ღირებულება და წარედგინოს საკრებულოს.

დავით ბელქანიამ ასევე მოუწოდა მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურს გაერკვეს თავის საქმიანობაში. მოხდეს საკრებულოში საკითხის სწორულად და ხარვეზის გარეშე ამოგზავნა.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს გააცნო გაერთიანებული კომისიის უარყოფითი დასკვნა. ასევე აღნიშნა , რომ საკითხი არის ხარვეზიანი ხელშეკრულებაში არ არის მითითებული რა ფართზეა საუბარი ან რა ღირებულებისაა აღნიშნული ქონება.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ წამოაყენა წინადადება საკითხის მერიაში მიბრუნების თაობაზე, რაზეც საკრებულო ერთხმად დაეთანხმა.

**მოისმინეს 6. „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 აპრილის N16 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ გამოუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 28).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე** **თემურ ღვინჯილია**